ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-15. 15230893**
თარიღი:**30/03/2023**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ქალაქ ბათუმის №1 პოლიკლინიკისათვის“ უზუფრუქტის უფლებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა შპს „ქალაქ ბათუმის №1 პოლიკლინიკა“-ს 5 (ხუთი) წლის ვადით, უზუფრუქტის უფლებით სასყიდლიან სარგებლობაში გადასცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:

1.1. ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი №55-ში მდებარე 572,00 კვმ მიწის ნაკვეთზე განთავსებული 426,40 კვმ შენობა-ნაგებობიდან პირველ სართულზე არსებული 292,00 კვმ ფართი (ს/კ №05.32.01.628).

1.2. ქ. ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილი №24-ში მდებარე 578,00 კვმ მიწის ნაკვეთზე განთავსებული №1 შენობის 1 სართულზე არსებული 192,66 კვმ ფართი (ს/კ №05.36.24.309.01.500).

2. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების (ორი ობიექტი) წლიური სარგებლობის საფასური (სიმბოლური) განისაზღვროს 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი